კონკურსი „შენი იდეა ბიუროს“

საჯარო სამსახურის რეფორმის პროცესში საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვედეთის მთავრობის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის და დანიის მთავრობის მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს **„შენი იდეა ბიუროს“.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ ნებისმიერ პირს. მონაწილეობის მიღების მსურველმა, 2018 წლის 19 ნოემბრამდე, საჯარო სამსახურის ბიუროს ელ-ფოსტაზე info@csb.gov.ge უნდა გამოაგზავნოს იდეის აღწერილობა (წერილის დასახელებაში მიუთითეთ: იდეა ბიუროს), რომლის ფარგლებში უნდა წარმოადგინოს თავისი ორიგინალური იდეა საქართველოს საჯარო სამსახურის განვითარებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ იდეა და მისი განხორციელება:

- შეესაბამებოდეს ბიუროს კომპეტენციის ფარგლებს
- არ საჭიროებდეს პოლიტიკური ნების გამოვლენას
- შეესაბამებოდეს საჯარო სამსახურის პრინციპებს
- იყოს რეალისტური
- იყოს განჭვრეტადი

იდეის ავტორმა აუცილებლად უნდა მიუთითოს სახელი და გვარი, საჯარო დაწესებულება სადაც ის დასაქმებულია, პოზიცია, ტელეფონის ნომერი და ელ.ფოსტა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ იდეა ეკუთვნის მის ავტორს და არ არის აუცილებელი წარმოადგენდეს იმ დაწესებულების პოზიციას, რომელშიც ის არის დასაქმებული.

იდეა შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- იდეის შესაბამისობა საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარეობასთან და საკითხის გააზრება;
- ეფექტურობისა და ეფექტიანობის, ასევე საჯარო სამსახურის სხვა ძირითადი პრინციპების გათვალისწინება;
- იდეის ორიგინალურობა;
- იდეის აქტუალურობა;
- იდეის რეალისტურობა.

ნამუშევრებს შეაფასებს სპეციალური კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია სფეროში მოღვაწე სპეციალისტებით.

კონკურსის შედეგად გამოვლენილი სამი საუკეთესო იდეის ავტორი დაჯილდოვდება.